

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი \_ ვლადიმერ გაბელია  
თანამდებობის დასახელება - კომისიის თავმჯდომარე  
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“  
კომისი(ებ)ის დასახელება - სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის  
კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68.05 მედანიის ადგილობრივი  
მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი -2016 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) \_ რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა \_ 24  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 22

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_ 28  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 28

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა \_ 15  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება \_ 15

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის  
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული  
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის  
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

დ) ლეიკემიით დაავადებულ ავადმყოფთა დაფინანსების პროგრამის შესახებ.

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა  
მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და  
საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის თაობაზე

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების  
შეტანის თაობაზე

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N2 საჯარო სკოლისათვის თემურ ფიფიას  
სახელის მინიჭების თაობაზე.

თ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი  
დებულების შესახებ.

ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან  
(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე.



კ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.  
ლ) ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის სამესხიოს უბანში ჭაბურღილისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბოგაშის უბანში სამოვრების ინვესტორებზე გასხვისება.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა \_\_15 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა \_\_\_\_150

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები  
სოციალური პრობლემები, ჯგალისა და მედანის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე ასფალტო -ბეტონის საფარის მოწყობა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული შენობის გადახურვა, ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობა, საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიდა საუბნო გზების მოხრეშვა,

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თემჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 15 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებული 15 სხდომიდან 15-ივე სხდომას.

შევსების თარიღი- 31.10.2017 წ.

წარდგენის თარიღი \_31.10.2017 წ.

ხელის მოწერა

